დაწესებულების დასახელება

ცხოველთა მოვლის და გამოყენების კომიტეტი (ოფისი, სამსახური)

(დებულების ნიმუში)

შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 2
მუხლი 2: კომიტეტის უფლებამოსილებანი 2
მუხლი 3. კომიტეტის სტრუქტურა და შემადგენლობა 3
მუხლი 4. კომიტეტის მუშაობის რეგლამენტი 3
მუხლი 5. კვლევის გეგმის წარდგენა 4
მუხლი 6. კვლევის გეგმის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება 5
მუხლი 7. დასკვნითი დებულებები 7

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს _____ *დაწესებულების* ცხოველთა მოვლის და გამოყენების კომიტეტის (შემდგომში **კომიტეტი**) კომპეტენციას, მისი შექმნისა და მუშაობის წესს.

1.2. კომიტეტის ძირითადი მიზანი _____ *დაწესებულებაში* ცხოველებზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევების, მათ შორის სასაწავლო პროგრამით გათვალისწინებული, (შემდგომში **კვლევები**) საერთაშორისოდ აღიარებულ ეთიკურ ნორმებთან და „3R" პრინციპთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

1.3. კომიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაციის და მისი დამატებითი ოქმების, ექსპერიმენტების ან სხვა სამეცნიერო მიზნებისთვის გამოყენებული ხერხემლიანი ცხოველების დაცვის ევროპული კონვენციის, ცხოველების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სხვა საერთაშორისო შეთანხმებებისა და *საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად*, _____ *დაწესებულების* დებულებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.

1.4. კომიტეტის მუშაობა კოორდინირებულია *დაწესებულების* ვიცე-რექტორთან სამეცნიერო დარგში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სამეცნიერო უნარ-ჩვევების სწავლების ცენტრთან.

1.5. კომიტეტი ანაგარიშვალდებულია *დაწესებულების* აკადემიური საბჭოს წინაშე.

1.6. კომიტეტი არის დამოუკიდებელი თავის გადაწყვეტილებების მიღებაში: კომიტეტის მუშაობაში გარე ჩარევა ან მასზე რაიმე სახის ზეწოლა დაუშვებელია.

მუხლი 2: კომიტეტის უფლებამოსილებანი

კომიტეტი უფლებამოსილია:

2.1. შეიმუშავოს, განიხილოს და დაამტკიცოს კვლევის განაცხადის, პროტოკოლის და სხვა დოკუმენტაციის ფორმები

2.2. შეაფასოს კვლევის გეგმის მეთოდოლოგიის შესაბამისობა ეთიკურ ნორმებთან და მომზადოს სათანადო დასკვნა დადგენილი კრიტერიუმის შესაბამისად (პ. 6.5);

2.3. სათანადოდ დაარეგისტრიროს კომიტეტის მიერ შეფასებული კვლევები;

2.4. განახორციელოს დამტკიცებული კვლევის მონიტორინგი და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში მიიღოს შესბამისი ზომები (კვლევის დროებითი შეჩერების და გაუქმების ჩათვლით) ხარვეზების გასწორებისთვის;

2.5. გაატაროს სხვა ღონისძიებები უნივერსიტეტში ცხოველებზე წარმოებული კვლევების თანამედროვე ეთიკურ-სამართლებრივი სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობის და კომიტეტის საქმიანობის გაცნობა-პოპულარიზების მიზნით.

მუხლი 3. კომიტეტის სტრუქტურა და შემადგენლობა

3.1. კომიტეტი შედგება *3-5* წევრისაგან (მათ შორის აკადემიური ან სამეცნიერო ერთეულის თანამშრომელი, ვივარიუმის თანამშრომელი, *დაწესებულების* თანამშრომელი, რომელიც არ არის დაკავშირებული ცხოველებზე ჩასატარებელ კვლევასთან) მაგალითად:

ა) აკადემიური / სამეცნიერო პერსონალს შერჩეული შესაბამისი ფაკულტეტ(ებ)ის (სამეცნიერო ერთეულ(ებ)ის) საბჭოს მიერ 1-3 .

ბ) იურიდიული სამსახურიდან - 1 წევრი;

გ) ვეტერინარული სამსახურიდან - 1 წევრი;

3.2. კომიტეტის შემადგენლობას (წევრებს) *დაწესებულების* ვიცე-რექტორის (დირექტორის მოადგილის) წარდგენის საფუძველზე ამტკიცებს *დაწესებულების* აკადემიური საბჭო.

3.3. კომიტეტს ჰყავს თავმჯდომარე რომელიც აირჩევა კომიტეტის პირველივე სხდომაზე ფარული კენჭისყრით. კომიტეტის მდივანს ასახელებს კომიტეტის თავმჯდომარე.

3.4. კომიტეტის სხდომაზე განიხილება და მტკიცდება კომიტეტის წევრების და ექსპერტის/ექსპერტების მიერ მომზადებული დასკვნები და კომიტეტის ყოველწლიური ანგარიში.

მუხლი 4. კომიტეტის მუშაობის რეგლამენტი

4.1. კომიტეტის სხდომას იწვევს კომიტეტის თავმჯდომარე თვეში ერთხელ მაინც. გადაუდებელი საკითხის შემთხვევაში (კვლევის პროგრამის კორექტირება, დროებითი შეჩერება ან შეწყვეტა) მოიწვევა რიგგარეშე სხდომა.

4.2. კომიტეტი სხდომის მუშაობას წარმართავს წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით. სხდომას ხელმძღვანელობს კომიტეტის თავმჯდომარე (მისი არყოფნის შემთხვევაში – რომელიმე წევრი).

4.3. კომიტეტი უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება, კომიტეტის წევრთა სულ მცირე 1/2.

4.4. კენჭისყრის შემდეგ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ წინადადებას მხარს უჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

4.5. კომიტეტის მომდევნო სხდომის დღის წესრიგს შეიმუშავებს კომიტეტის თავმჯდომარე მდივანთან ერთად კომიტეტის წინა სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების, სხდომებს შორის პერიოდში შემოსული განცხადებებისა და კომიტეტის სხვა წევრებისათვის ცნობილი ან წარმოშობილი მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინებით.

4.6. კომიტეტის სხდომის დღის წესრიგი მის წევრებს ეგზავნება სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ *3-5* სამუშაო დღით ადრე.

4.7. კომიტეტის სხდომის ოქმს აფორმებს კომიტეტის მდივანი;

4.8. კომიტეტის სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი;

4.9. კომიტეტის თავმჯდომარეს სხდომის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად უფლება აქვს მოიწვიოს პირები, რომლებიც არ არიან კომიტეტის წევრები. მოწვეული პირების შესახებ ინფორმაცია კომიტეტის წევრებს მიეწოდება დღის წესრიგთან ერთად.

4.10. კომიტეტის დებულება, სააპლიკაციო ფორმები და სხვა დოკუმენტები უნდა იყოს განთავსებული *დაწესებულების* ოფიციალური საიტის მუდმივ განახლებად ვებ-გვერდზე.

მუხლი 5. კვლევის გეგმის წარდგენა

5.1. განაცხადი და სამეცნიერო კვლევის დოკუმენტაცია (პ.5.2) შეფასებისა და ექსპერტიზისათვის უნდა მიეწოდოს კომიტეტის მდივანს ამობეჭდილი და ელექტრონული ფორმით.

5.2. კომიტეტს უნდა მიეწოდოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება ცხოველებზე ჩასატარებელი კვლევის შეფასების მოთხოვნის შესახებ;

ბ) სააპლიკაციო ფორმა, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კვლევის ძირითადი მიზანი, ამოცანა და გეგმაში მითითებულ ცხოველების რაოდენობაზე მისი ჩატარების აუცილებლობის, ამა თუ იმ სახეობის ცხოველის შერჩევისა და გამოყენების მეცნიერული დასაბუთება;
- კვლევის პასუხიმგებლები შემსრულებლის და ყველა მკვლევარის მონაცემები, მათი თანამდებობის, გამოცდილების და კვალიფიკაციის მითითებით;
- კვლევის მეთოდები, ექსპერიმენტის მოცულობა და ხანგრძლივობა, გაუტკივარებისა და ევთანაზიის მეთოდები და საშუალებები, სტატისტიკური, ანალიზური მეთოდები და სხვა;
- ინფორმაცია კვლევის შედეგების, მონაცემების ან ბიოლოგიური მასალის შემდგომი შესაძლო გამოყენების თაობაზე, კომერციული მიზნების ჩათვლით;

5.3. საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტმა შესაძლებელია მოითხოვოს ნებისმიერი სხვა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც კვლევის პროექტის ეთიკური შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის იქნება აუცილებელი.

5.4. განაცხადი რეგისტრირდება კომიტეტის ჟურნალში შესაბამისი ნომრით, ფიქსირდება კვლევის დასახელება, განაცხადის შემოტანის თარიღი, წამყვანი მკვლევარის პირადი მონაცემები და იმ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულ(ებ)ის დასახელება, რომელიც აწარმოებს კვლევას.

მუხლი 6. კვლევის გეგმის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება

6.1. კომიტეტის მდივანი ატარებს კვლევის დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას:

ა) სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში, როგორც პროგრამა (მას შემდეგ, რაც იგი დადებითად იქნება შეფასებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ), ასევე, მისი ელექტონული ვერსია და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შევსებული სააპლიკაციო ფორმები კომიტეტს გადაეცემა სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორნატურის სამსახურიდან;

ბ) საგრანტო პროექტის ან სხვა ნებისმიერი ექსპერიმენტულ-კვლევითი პროექტის შემთხვევაში, კვლევის პროექტთან, შევსებულ სააპლიკაციო ფორმებთან და მათ ელექტონულ ვერსიებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის (ან პროექტის) ხელმძღვანელის განცხადება კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე.

6.2. სრულფასოვნად წარმოდგენილი დოკუმენტაცია თავმჯდომარესთან შეთანხმებით გადაეცემა ექსპერტს (კომიტეტის წევრს ან მოწვეულ სპეციალისტს, რომლიც ჩართული არ არის აღნიშნულ კვლევაში).

6.3. ექსპერტი შერჩეული იქნება კომიტეტის სხდომაზე ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე.

6.4. მდივანი ექსპერტს გადასცემს კვლევის გეგმას და თანდართულ დოკუმენტაციას, რის საფუძველზეც იგი შეაფასებს პროექტს და არაუგვიანეს 1 თვისა წარმოადგენს დასკვნას კომიტეტის სხდომაზე.

6.5. ექსპერტი აანალიზებს კვლევის გეგმას წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე კვლევის შინაარსიდან გამომდინარე შეფასების შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- პროგრამის მნიშვნელობა ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობისთვის, ცოდნის მიღების ხელშეწყობისთვის და საზოგადოების სიკეთისთვის;
- ალტერნატიული კვლევის შესაძლებლობის ანალიზი (in vitro სისტემები, კომპიუტერული მოდელირება და/ან მათემატიკური მოდელები) ცხოველების გამოყენების შესამცირებლად ან შესაცვლელად;
- სათანადო სახეობის, ხარისხის და რაოდენობის ცხოველების გამოყენება;
- დისკომფორტის, დისტრესის და ტკივილის თავიდან აცილება ან მინიმუმამდე დაყვანა;
- სათანადო სედაციის, ანალგეზიის და ანესთეზიის გამოყენება;
- ევთანაზიის მეთოდი;
- ადეკვატური ვეტერინარული მოვლის უზრუნველყოფა;
- ცხოველთა სათანადო ტრანსპორტირების (ასეთის შემთხვევაში) და პირობების უზრუნველყოფა, კვალიფიციური პერსონალის ხელმძღვანელობით და შესრულებით
- პროექტის ყველა შემსრულებლების გამოცდილება და კვალიფიკაცია

6.6. კომიტეტის დასკვნა შეიძლება იყოს შემდეგი:

ა) დამტკიცდეს ცვლილების გარეშე (თანხმობა - ექსპერტის მიერ დადებითი შეფასების შემთხვევაში), რაც მკვლევარს უფლებას აძლევს ჩაატაროს კვლევა დასახული გეგმის ფარგლებში, მასში ყოველგვარი ცვლილებების შეტანის გარეშე.

ბ) დამტკიცდეს დათქმით (პირობითი თანხმობა შესწორებებით), რაც მკვლევარს კვლევის დაწყების უფლებას აძლევს მხოლოდ ექსპერტის მიერ რეკომენდებული კონკრეტული ცვლილებების შეტანის და/ან მოთხოვნილი დამატებით ინფორმაციის წარდგენის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილ ცვლილებებს აფასებს კომიტეტის თავმჯდომარე კომიტეტის წევრთა კენჭისყრის

შედეგად მიღებული შედეგების შესაბამისად, რის საფუძველზეც კომიტეტი გასცემს თანხმობას ან უარს კვლევის ჩატარებაზე.

გ) უარი მომდევნო სხდომამდე, რაც გულისხმობს, რომ მოცემული კვლევის გეგმა საჭიროებს მნიშვნელოვან გადამუშავებას. შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ იგი შეიძლება განხილულ იქნეს კომიტეტის ერთ-ერთ მომდევნო სხდომაზე.

6.7. კომიტეტის დასკვნა კვლევის შეფასების შესახებ გაიცემა არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში კომიტეტისადმი კვლევის დოკუმენტაციის გადაცემის დღიდან.

6.8. განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია შეფასების ვადის შემცირება ან გაზრდა, რისთვისაც აუცილებელია კომიტეტის გადაწყვეტილება.

6.9. კომიტეტის დასკვნა იწერება ოქმის სახით და რეგისტრირდება კომიტეტის ჟურნალში.

6.10. პასუხისმგებელ შემსრულებელს ან მის წარმომადგენელს მოთხოვნისამებრ ეძლევა ამონაწერი ოქმიდან, რომელშიც მითითებულია კვლევის გეგმის განხილვის შედეგი და კომიტეტის დასკვნა.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. კომიტეტის დებულებას ამტკიცებს _____ *დაწესებულების* აკადემიური საბჭო.

7.2. საჭიროებისას კომიტეტი ამზადებს მის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

ნიმუში